



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი: ო87. 8723027001

თარიღი: 27/01/2023

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომა

ოქმი №1

ქ. ახმეტა, 25 იანვარი, 2023 წელი

სხდომის თავმჯდომარე: იოსები ქარუმაშვილი- ახმეტის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

სხდომას ესწრებოდნენ: დ. ავაზაშვილი, გ. ონიაშვილი, გ. ქიბროწაშვილი
გ. შაშიაშვილი, კ. მამულაშვილი, ბ. კაიშვილი
რ. გახუაშვილი

სხდომა გაიხსნა 11⁰⁰ საათზე.

სხდომის თავმჯდომარე იოსები ქარუმაშვილმა გახსნა სხდომა და ბიუროს წევრებს გააცნო დღის
წესრიგი.

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“
ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26
დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის, საჯარო
მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს
ოქმების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის სამტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნინო იდიძე/

6. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

7. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგს, რომელსაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მღისმინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილმა ცვლილებებმა გამოიწვია რეგლამენტში ცვლილებების შეტანა.

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1.

„ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 04/03/2022; სარეგისტრაციო კოდი: 010250020.35.162.016562) შეტანილ იქნეს ცვლილებები და ამ დადგენილებით დამტკიცებული რეგლამენტის:

1. მე-3 მუხლის მე-3 პუნქტს დაემატოს შემდეგი შინაარსის „ი“ ქვეპუნქტი:

„ი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის დამტკიცება.“.

2. მე-18 მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) უზრუნველყოფს საკრებულოს ბიუროს მიერ შემუშავებული საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტის საკრებულოსთვის სხდომაზე დასამტკიცებლად წარდგენას, ადგენს განსახილველ საკითხზე გამოსვლის მსურველთა სიას, ამ რეგლამენტით დადგენილი წესით განსაზღვრავს გამომსვლელთა რიგითობას და აძლევს მათ სიტყვას;“.

3. მე-20 მუხლის მე-2 პუნქტის:

ა) „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) შეიმუშავებს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტსა და საკრებულოს სამუშაო გეგმის პროექტს;“.

ბ) „ე“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ე) უზრუნველყოფს საკრებულოს კომისიებისა და დროებითი სამუშაო ჯგუფების დასკვნებისა და წინადადებების საფუძველზე ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტებისა და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული სხვა საკითხების საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში დაუყოვნებლივ შეტანას;“.

4. 50-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-7 პუნქტი:

„7. მუნიციპალიტეტის მერი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს საკრებულოს საკითხის სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების თაობაზე, ამ შემთხვევაში საკრებულოს თავმჯდომარე განმარტავს აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეუტანლობის ან დღის წესრიგიდან ამოღების მიზეზს, რის შემდეგაც სავალდებულოა საკითხის კენჭისყრაზე დაყენება. საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანის ან დღის წესრიგიდან ამოღების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება განხილვის გარეშე, საკრებულოს სხდომაზე დამსწრეთა ხმების უმრავლესობით. ამასთანავე, აღნიშნული საკითხის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში შეტანა შესაძლებელია, თუ მას გავლილი აქვს „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ და საკრებულოს რეგლამენტით გათვალისწინებული შესაბამისი პროცედურები.“.

5. 101-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 56-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში მერის უფლებამოსილების შეჩერება ან ვადამდე შეწყვეტა ხდება ამავე კოდექსის მე-XVIII თავით დადგენილი წესით.“.

6. 133-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 133. საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

1. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით (დადგენილებით), საკრებულოს უფლებამოსილება შეიძლება ვადამდე შეწყდეს, თუ:

ა) საკრებულოს წევრთა რაოდენობა ამ საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობაზე ნაკლები დარჩება, ამასთანავე, საკრებულოს სრული შემადგენლობის უმრავლესობის ჩამოყალიბება შეუძლებელია;

ბ) საკრებულო ახალი საბიუჯეტო წლის დაწყებიდან 3 თვეში არ დაამტკიცებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით შედგენილ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს;

გ) საკრებულო ზედიზედ 6 თვის განმავლობაში არ შეიკრიბება.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე საკრებულოს უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შემთხვევაში იგივე საკრებულო განაგრძობს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელებას ახალარჩეული საკრებულოს პირველ შეკრებამდე.“.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მლისძინეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო დადგენილებაში ცვლილების შესახებ ბიუროს დამსწრე წევრებს: კანონის შესაბამისად, მოხდა თანამდებობრივი სარგოების რაოდენობის ჩასწორება სიზუსტით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: საკრებულოს აპარატის 3 სპეციალისტს პირველი მარტიდან ემატება კატეგორიები და მოხდა მისი საშტატო ნუსხაში ასახვა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო ბიუროს წევრებს ბიუჯეტის შემოსულობების, გასაწევი გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების შესახებ.

დადგენილების მიზანია მუნიციპალიტეტის დამტკიცებულ ბიუჯეტში საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 და #2476 განკარგულებებით გამოყოფილი თანხებისა და 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით მუნიციპალიტეტის სახაზინო ანგარიშზე არსებული ნაშთის ასახვა.

მომხსენებელმა უპასუხა კითხვებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

მომხსენებელმა გააცნო ზოგადი ინფორმაცია ნორმატიული აქტის პროექტის შესახებ.

ნორმატიული აქტის პროექტის მიზანია ნორმატიულ აქტში არსებული ტექნიკური უზუსტობის შესწორება.

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-7 მუხლის მე-11 პუნქტის შემდეგ ნუმერაცია შესწორდეს და განისაზღვროს როგორც მე-12 პუნქტი, რომელიც ჩამოყალიბდება იმავე შინაარსით:

„12. პროგრამით გათვალისწინებული თანხა გაიცემა უნაღდო ანგარიშსწორების წესით.“

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტი დაზუსტდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„გ) ფორმა NIV/100-ა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ /დიაგნოზი შესაბამისი კლასიფიკატორით და პამპერსის ზომის მითითებით/;“

დადგენილებით დამტკიცებული დანართის მე-9 მუხლის 21-ე პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი შესწორდეს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ფორმა N IV/100-ა -ს შესაბამისი ინვოისი აფთიაქიდან.“

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელმა განმარტა საკითხი: ნორმატიული აქტის პროექტის მიღების მიზეზი არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის N GOV 6 23 00000320 10/01/2023 წლის წერილი. დადგენილია მცირე ტექნიკური ხარვეზი: მერიის მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრის წესში, კერძოდ, თანამდებობრივი სარგოები უნდა განსაზღვრულიყო ყოველგვარი

მათემატიკური დამრგვალების გარეშე, რასაც მოქმედი სამტატო ნუსხა არ ითვალისწინებს.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი ნარგობის დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მომხსენებელმა გააცნო საკითხი ბიუროს წევრებს: ხდება კატეგორიების მომატება და მისი ასახვა სამტატო ნუსხაში.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო საკითხი დამსწრე წევრებს: „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე გამონაკლისის დაშვების თაობაზე თანხმობის მიცემის შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №56 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და ამ განკარგულების პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიას მასზე, რომ შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის კანონით დაწესებულ შეზღუდვაზე დაშვებულ იქნეს გამონაკლისი და ამ კატეგორიის საჯარო მოსამსახურეთა რიცხოვნობა განისაზღვროს 13 (ცამეტი) ერთეულით.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

მოხსენეს: ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

მომხსენებელმა გააცნო განკარგულების პროექტი დამსწრე წევრებს:

მიეცეს თანხმობა ახმეტის მუნიციპალიტეტის მერს- განახორციელოს ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართის „საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური“-სთვის (საიდენტიფიკაციო კოდი 212273868) პირდაპირი განკარგვის წესით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, არსებობის ვადით გადაცემა.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტში საკითხის ჩასმას, რასაც ერთხმად დაუჭირეს მხარი.

ბიუროს წევრების გადაწყვეტილებით საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტი ჩამოყალიბდა შემდეგი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ახმეტის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №62 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ;

/მომხსენებელი - მარინა მაისურაძე/

2. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დახმარების 2023 წლის პროგრამის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის N66 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - ნინო იდიძე/

3. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 2 მარტის №26 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

4. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

5. „ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხის, საჯარო მოსამსახურეთა იერარქიული რანგებისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 22 დეკემბრის №63 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე;

/მომხსენებელი - გელა შაშიაშვილი/

6. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

7. „ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიის საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 აპრილის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

8. ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეზღუდვაზე გამონაკლისის შეთანხმების შესახებ;

/მომხსენებელი - დავით აბულაძე/

9. ახმეტის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების - ბ. ჩოლოყაშვილის ქუჩა N50-ში, II- სართულზე მდებარე 14.8კვ.მ ფართობის (50.04.42.597) საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-სთვის პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემაზე ახმეტის მუნიციპალიტეტის მერიისთვის თანხმობის მიცემის შესახებ;

/მომხსენებელი - თეიმურაზ შაშიაშვილი/

ბიუროს სსდომა დაიხურა 12¹⁰ საათზე.

იოსები ქარუმაშვილი

ახმეტის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

